

1) მასწავლებელმა დაფაზე დაწერა ცხრა ერთმანეთის მომდევნო რიცხვი. მოსწავლემ წაშალა მასწავლებლის მიერ დაწერილი რომელიღაც ერთი რიცხვი. ამის შემდეგ დაფაზე დაწერილი დარჩა რიცხვები: 0; 1; 2; 3; 4; 5; 7; 8.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2 ა) რამდენი რიცხვი დაწერა მასწავლებელმა დაფაზე?  
1) ერთი      2) ექვსი      3) შვიდი      4) რვა      5) ცხრა

2 ბ) რამდენი რიცხვი წაშალა მოსწავლემ?  
1) ერთი      2) ორი      3) სამი      4) ოთხი      5) ხუთი

5 გ) რა რიცხვი წაშალა მოსწავლემ?  
1) 9      2) 8      3) 7      4) 6      5) ამის გაგება შეუძლებელია

2) ლადომ ფურცელზე დაწერა რიცხვი 18. ნინომ ეს რიცხვი გაანახევრა და მიღებული პასუხი დაფაზე დაწერა. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2 ა) რა რიცხვი დაწერა ლადომ ფურცელზე?  
1) 9      2) 12      3) 15      4) 18      5) 28

2 ბ) რა რიცხვი დაწერა ნინომ დაფაზე?  
1) 8      2) 9      3) 10      4) 12      5) 15

7 გ) რას მივიღებთ, თუ გავაორმაგებთ ნინოს მიერ დაფაზე დაწერილი რიცხვის წინა რიცხვს?  
1) 20-ს      2) 18-ს      3) 16-ს      4) 10-ს      5) 8-ს

3) ვატოს ჰქონდა 40 კანფეტი. მან თავისი კანფეტების ნახევარი ნინოს მისცა. ამის შემდეგ ნინოს იმდენი კანფეტი გაუხდა, რამდენიც ჰქონდა ვატოს. კოტეს აქვს იმდენი კანფეტი, რამდენიც დარჩა ვატოს. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2 ა) რამდენი კანფეტი მისცა ვატომ ნინოს?  
1) 10      2) 20      3) 30      4) 60      5) 80

5 ბ) რამდენი კანფეტი აქვს კოტეს?  
1) 10      2) 20      3) 30      4) 60      5) 80

7 გ) რამდენი კანფეტი აქვთ ნინოს და კოტეს ერთად?  
1) 20      2) 40      3) 60      4) 80      5) 100

4) თემოს 12 კაკალი აქვს, ნინოს – 7. ვანოს და ნინოს ერთად 15 კაკალი აქვთ, კოტეს კი ვანოზე – 5-ით მეტი. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

- ა) რამდენი კაკალი აქვს ნინოს?  
 1) 15                      2) 12                      3) 8                      **4) 7**                      5) 5
- ბ) რამდენი კაკალი აქვთ ვანოს და ნინოს ერთად?  
 1) 19                      **2) 15**                      3) 12                      4) 8                      5) 7
- გ) რამდენი კაკალი აქვს ვანოს?  
 1) 15                      2) 12                      **3) 8**                      4) 7                      5) 5
- დ) ვის აქვს თემოზე მეტი კაკალი?  
 1) ნინოს                      2) ვანოს                      **3) კოტეს**                      4) არცერთს                      5) ამის გაგება შეუძლებელია

- 5) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია დანარჩენებისგან განსხვავებული რაოდენობის თანხა (ფული)?  
 1) 4 ოცთეთრიანი                      2) ერთ ლარზე 20 თეთრით ნაკლები                      3) 16 ხუთთეთრიანი  
**4) 2 ოცთეთრიანი და 4 ხუთთეთრიანი**                      5) 3 ათთეთრიანი და 1 ორმოცდაათთეთრიანი

6) ქვემოთ მოცემული რამდენი წინადადებაა ჭეშმარიტი (სწორი)?  
 $12 + 24 \square 6 > 16$

- მოცემული უტოლობა ჭეშმარიტი იქნება, თუ უჯრაში მიმატების ნიშანს ჩავსვამთ;
  - მოცემული უტოლობა ჭეშმარიტი იქნება, თუ უჯრაში გამოკლების ნიშანს ჩავსვამთ;
  - მოცემული უტოლობა ჭეშმარიტი იქნება, თუ უჯრაში გამრავლების ნიშანს ჩავსვამთ;
  - მოცემული უტოლობა ჭეშმარიტი იქნება, თუ უჯრაში გაყოფის ნიშანს ჩავსვამთ.
- 1) ერთი                      2) ორი                      **3) სამი**                      4) ოთხი                      5) არცერთი

7) ქუჩაზე ორი სახლი დგას: ერთი ხუთსართულიანი, ერთი – ათსართულიანი. ნინო მესამე სართულზე ცხოვრობს, ლადო კი – მეექვსეზე. ქვემოთ მოცემული რამდენი წინადადებაა აუცილებლად მცდარი (არასწორი)?

- ნინო შეიძლება ხუთსართულიან სახლში ცხოვრობდეს;
- ნინო შეიძლება ათსართულიან სახლში ცხოვრობდეს;
- ლადო შეიძლება ხუთსართულიან სახლში ცხოვრობდეს;
- ლადო შეიძლება ათსართულიან სახლში ცხოვრობდეს.




- 1) ერთი**                      2) ორი                      3) სამი                      4) ოთხი                      5) არცერთი


8) ქვემოთ მოცემული რამდენი წინადადებაა მცდარი (არასწორი)?

- არსებობს ისეთი რიცხვი, რომლის უახლოესი ათეული და უახლოესი ხუთეული ტოლია;
- არსებობს ისეთი რიცხვი, რომლის უახლოესი ოცეული და უახლოესი ხუთეული ტოლია;
- არ არსებობს ისეთი რიცხვი, რომლის უახლოესი ათეული და უახლოესი ოცეული ტოლია;
- არ არსებობს ისეთი რიცხვი, რომლის უახლოესი ათეული და უახლოესი ხუთეული ტოლია.

- 1) ერთი                      **2) ორი**                      3) სამი                      4) ოთხი                      5) ხუთი


 9) ვახომ 34-ის წინა რიცხვს რომელიმე რიცხვი მიუმატა და მიიღო ყველაზე პატარა სამნიშნა რიცხვი. რა რიცხვი მიუმატა ვახომ 34-ის წინა რიცხვს?


- 1) 100      2) 77      3) 67      4) 66      5) 65






 10) ქვემოთ მოცემული რომელი ორი რიცხვის ჯამი უნდა გავაორმაგოთ, რომ მივიღოთ გაორმაგებული სამი?


1; 2; 3; 4; 6.

- 1) 4-ის და 2-ის      2) 3-ის და 6-ის      3) 2-ის და 3-ის      4) 0-ის და 3-ის      5) 2-ის და 1-ის

 11) მაგიდაზე ასანთის ღერებით არასწორი უტოლობა იყო აწყობილი (სურათი 1). ნინომ ასანთის მხოლოდ 1 ღერი გადაადგილა, რის შედეგადაც ტეშმარიტი (სწორი) უტოლობა მიიღო. ქვემოთ მოცემული რომელი უტოლობა შეიძლება მიეღო ნინოს? (გაითვალისწინეთ, რომ ნინოს ასანთის სხვა ღერებისთვის ხელი არ უხვლია)




- 1)       2)       3)   
 4)       5) 

 12) კოტემ ჩაიფიქრა რიცხვი. მან ამ რიცხვის შესახებ თქვა ორი წინადადება:


- ჩემ მიერ ჩაიფიქრებული რიცხვი ან ნულით ბოლოვდება, ან 3-ით.
- ჩემ მიერ ჩაიფიქრებული რიცხვი მეტია 10-ზე და ნაკლებია 20-ზე.

რა რიცხვი ჩაიფიქრა კოტემ, თუ მას ტყუილი არ უთქვამს?

- 1) 23      2) 20      3) 13      4) 10      5) 3

 13) ცარიელ კასრში ზუსტად 8 ვერდო წყალი ეტევა. ნახევრადსაგსე კასრში 6 ნახევრადსაგსე ვერდო წყალი ჩაასხეს. კასრის ბოლომდე გასავსებად კიდევ რამდენი ბოლომდე სავსე ვერდო წყლის ჩასხმაა საჭირო?

- 1) ერთი      2) ორი      3) სამი      4) ოთხი      5) არცერთი

 14) ნაყინის გამყიდველს მხოლოდ 5-თეთრიანები, 10-თეთრიანები და 20-თეთრიანები ჰქონდა. ლადომ 20-თეთრიანი ნაყინი იყიდა. მან გამყიდველს ერთლარიანი მიაწოდა. გამყიდველმა ლადოს ხუთი ცალი ხურდა ფული დაუბრუნა. ქვემოთ მოცემული რამდენი წინადადებაა მცდარი (არასწორი)?

- შეიძლება გამყიდველს ხურდა 10-თეთრიანებით და 50-თეთრიანით დაებრუნებინა;
- შეიძლება გამყიდველს ხურდა 5-თეთრიანებით და 10-თეთრიანებით დაებრუნებინა;
- შეიძლება გამყიდველს ხურდა 5-თეთრიანებით და 20-თეთრიანებით დაებრუნებინა;
- შეიძლება გამყიდველს ხურდა 10-თეთრიანებით და 20-თეთრიანებით დაებრუნებინა.

- 1) ერთი      2) ორი      3) სამი      4) ოთხი      5) არცერთი